

**შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2018 წლის 11 მაისიდან აცხადებს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებს**

წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა სამი წევრი -პროფესორით და სამის წევრი სტუდენტით.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი-პროფესორი ----- შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი -სტუდენტი-----შეიძლება არჩეულ იქნეს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი.

კანდიდატმა (პროფესორი) უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე.
2. აკადემიური თანამდებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა).
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

კანდიდატმა (სტუდენტი) უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე.
2. სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა).
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

კანდიდატთა (პროფესორი/სტუდენტი) საბუთები მიიღება სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (დილის 10 საათიდან 17.30 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა, მისამართზე-ზუგდიდი ჯანაშიას ქ.№14,საარჩევნო კომისია ოთახი N 230) 2018 წლის 11 მაისიდან 17 მაისის ჩათვლით.

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ჩატარება 2018 წლის 19 მაისს (პროფესორი), 2018 წლის 24 მაისს (სტუდენტი).